



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 10

05/02/2018

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში) თანამდებობაზე ეკა შეყრილაძის განუსაზღვრელი ვადით დანიშვნის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 18.08.2015 წლის №46 83 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №16 დადგენილების შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 18.08.2015 წლის №46 83 ბრძანების მეორე მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარით.“

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო